სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 ივნისი 2025

N 288/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი მამკოდას მიმდებარედ, სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების გაცემის შესახებ

2025 წლის 19 მარტს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ (შემდგომ - კოდექსი) გათვალისწინებული რეკომენდაციების მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა სოფელ მამკოდას მიმდებარედ სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის განაშენიანების დეტალური გეგმა (შემდგომ - გდგ), თანდართული დოკუმენტაციით, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (შემდგომ - სგშ) ანგარიში და არატექნიკური რეზიუმე.

კოდექსის შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (შემდგომ - ცენტრი), რომელმაც უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (ელ.ბმული https://ei.gov.ge/ka/info/78707978-2089-4793-b8ae-4dffe095b5bf). ცენტრის მიერ აღნიშნული დოკუმენტები ასევე გადაეგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი სგშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისთვის პასუხისმგებელი სუბიექტის - დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების, არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოსა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. ანგარიშში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საფუძველი და დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე ინფორმაცია განხორციელების არეალისა და ალტერნატივების შესახებ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადებაზე სააგენტოს 2025 წლის 13 იანვრის №1/ს ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა.

წარმოდგენილი პროექტისთვის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სააგენტოს უფროსის 2025 წლის 7 იანვრის №181/ს ბრძანების (“მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ”) საფუძველზე შეიქმნა საექსპერტო კომისია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდაში, ფიზიკური პირის საკუთრებაში და მის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების, ჯამში - 196558 მ^2 (19.6ჰ.) მიწის ტერიტორიის განაშენიანება. ამასთან, Shp ფაილებით წარმოდგენილი სივრცითი მონაცემების მიხედვით, გდგ-ს არეალის ფართობი წარმოადგენს 231931 მ^2-ს (23.2ჰ.).

წარმოდგენილ სგშ-ს ანგარიშში განხილულია გდგ-ს არეალის განვითარების ალტერნატიული ვარიანტები. ერთერთ ალტერნატივად განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე მთლიანად უარის თქმას. გეგმარებითი ტერიტორია წარმოადგენს ყოფილ საძოვარს, უშენ ტერიტორიას, ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, თუმცა არ გამოიყენება სოფლის მეურნეობის მიზნებისთვის, ასევე, არც ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისთვის. დოკუმენტის თანახმად, ნულოვანი ალტერნატივით შენარჩუნდება არსებული მდგომარეობა და საპროექტო ტერიტორიების განვითარების შესაძლებლობა შეიზღუდება.

მეორე ალტერნატიული ვარიანტი გულისხმობს გდგ-ს არეალის ინდივიდუალური საცხოვრებელი დასახლების განვითარებას. ტერიტორიის ასეთი განვითარება ერთფეროვანია, რომელიც ტერიტორიას სიცოცხლისუნარიანს და მიმზიდველს ვერ გახდის.

მესამე ალტერნატიული ვარიანტი გულისხმობს გდგ-ს არეალის სააგარაკე-საცხოვრებელ ზონად (სზ-1) განვითარებას, სადაც დომინირებს სეზონური, დასასვენებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ასევე განვითარდება შერეული ზონის (შზ) კომერციული ქვეზონა (შზ-5).

აღნიშნული ალტერნატივების ანალიზის შედეგად შეირჩა მესამე ალტერნატივა - გდგ-ს არეალის შერეული ფუნქციით განვითარება.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, ერთბინიანი სააგარაკე-საცხოვრებელი ქვეზონა (სზ-1) განვითარდება განაშენიანების პარამეტრების დაცვით და მათი სავარუდო სიმაღლე იქნება 7.5 მეტრი. გდგ-ს არეალში განთავსებული 170 მიწის ნაკვეთიდან სზ-1-ის ქვეზონაში განთავსდება 167 მიწის ნაკვეთი (მათი საშუალო ზომა იქნება 500 მ^2), ხოლო სახლების მაქსიმალური ფართობი - 350 მ^2. ტერიტორიაზე გამოყოფილ თითოეულ ნაკვეთზე გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი ავტოსადგომისთვის განკუთვნილი ადგილი. კომერციულ ქვეზონაში (შზ-5) განთავსებული იქნება როგორც კომერციული ობიექტები, ასევე სასტუმრო აპარტამენტები (60-80 ადამიანზე), სპორტული მოედნები, საბავშვო პარკი, საბავშვო ბაღი, საცურაო აუზი და ღია კაფე, მათი მაქსიმალური სიმაღლე იქნება 15 მეტრი. სასტუმროსა და ადმინისტრაციული ობიექტისთვის გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი ავტოსადგომი, ყოველ 150 მ^2-ზე. გდგ-ს არეალში არსებული დანარჩენი ტერიტორია დაეთმობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას (45407 მ^2) და გამწვანებას (64974 მ^2).

გეგმარებითი ტერიტორია მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე გლდანისხევის მარცხენა ნაპირზე. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფელი მამკოდა. მთლიანი გეგმარებითი არეალი მდებარეობს უშენ ტერიტორიაზე. ტერიტორიას გააჩნია ერთი მისასვლელი, გამჭოლი გრუნტის გზა, რომელიც იწყება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზიდან (შ-30 თბილისი (გლდანი)-თიანეთი) და მიემართება მამკოდის მამათა მონასტრისკენ. საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და საპროექტო ტერიტორია სრულად არის გარშემორტყმული დაცული ტერიტორიით - თბილისის ეროვნული პარკით.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გდგ-ს არეალში გადის „საგურამო-ნავთლუღის“ (Ø700 მმ.) (ს/კ: 72.00.359) და „ყაზახ-საგურამოს“ (Ø1000 მმ.) (ს/კ: 72.00.706) მაგისტრალური გაზსადენები. საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში დაცული იქნება 25-მეტრიანი ბუფერი და „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის

პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილების მოთხოვნები.

საპროექტო სამუშაოების დროს დაგეგმილია ხე-მცენარეების (ბუჩქნარის) ჭრა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, შემოღობვის, რკინაბეტონის, მოსაპირკეთებელი, საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. სამუშაოების განხორციელება მოხდება სხვადასხვა ჯგუფების მიერ, სხვადასხვა დროს. დასაქმებულთა რაოდენობა იქნება დაახლოებით 150 ადამიანი. სამშენებლო სამუშაოები დაიწყება სამშენებლო/სანებართვო პროცედურების დასრულების შემდეგ, ხოლო სამუშაოების დასრულდება 4-5 წლის განმავლობაში.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე სასმელი წყლის დანიშნულებით გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი, ხოლო სამშენებლო პროცესებისთვის გათვალიწინებული სამეურნეო წყალმომარაგება განხორციელდება ავტოცისტერნებით. წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვების მიზნით განთავსდება კონტეინერული ტიპის ოფისი და ბიო-ტუალეტები, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია წყალმომარაგების, გამწმენდი, სანიაღვრე წყლის შემკრები, ელეტრომომარაგების სისტემებისა და სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

განაშენიანების ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგებისთვის გათვალისწინებულია ჭაბურღილის (სიღრმით 80 მ; Ø200 მმ.), წყლის რეზერვუარის, წყლის გასაფილტრი შენობა-ნაგებობის და მილსადენების (Ø75 მმ. სიგრძით 2121.0 მეტრი და Ø110 მმ. სიგრძით 2950.0 მეტრი) მოწყობა. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მართვის მიზნით დაგეგმილია ინდივიდუალური გამწმენდი სისტემების დამონტაჟება, საიდანაც გაწმენდილი წყალი (9.37 $მ^3$/სთ. = 0.156 $მ^3$/წმ) შეიკრიბება ავზში, შემდეგ შეუერთდება სანიაღვრე წყალს (0.109 $მ^3$/წმ) და სანიაღვრე ქსელის მეშვეობით ჩაშვება მოხდება მდ. გლდანისხევში (0.265 $მ^3$/წმ). განაშენიანების ეტაპზე გაზმომარაგება გათვალისწინებული არ არის. სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია ელექტროენერგიით მომარაგება, რისთვისაც დაგეგმილია მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა.

სგშ-ის ანგარიშში ასახულია ბუნებრივი გარემოს აღწერა, რომლის მიხედვითაც გდგ-ს არეალი მოქცეულია მთათაშორისი ბარის გორაკ-ბორცვიანი რელიეფის ქვეზონაში, ნასერალის ქედის ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობზე, მდინარე გლდანისხევის კალაპოტიდან ნასერალის ქედამდე სიმაღლე ზ.დ. 675-დან 892 მეტრამდე მერყეობს. გდგ-ს არეალი მდებარეობს მაღალ ტერასულ აკუმულაციურ მონაკვეთზე და ხასიათდეაბ მოვაკებული რელიეფით, მორფოლოგიურად წარმოადგენს მდინარის ძველ ტერასას.

ტერიტორია კლიმატური დარაიონების მიხედვით მდებარეობს IIIგ ზონაში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის ბარს, სადაც გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. ტერიტორიის მორფოლოგიური და გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო 2 ძირითადი მიწისქვეშა წყლების წყალშემცველი ჰორიზონტი, ხოლო ჩატარებული გეოფიზიკური კვლევების თანახმად, წყალშემცველი ფენა გამოვლენილია 44.87- 60.08 მეტრის დიაპაზონში.

გდგ-ს არეალი მდებარეობს მდინარე გლდანისხევის წყალშემკრებ აუზში, რომელიც სათავეს იღებს საგურამო-იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ.დ. 1160- 1180 მ. სიმაღლეზე და უერთდება მდ. მტკვარს. საშიშროების რისკის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ღვარცოფები. უშუალოდ საკვლევ ტერიტორიაზე აქტიური და საშიში გეოლოგიური პროცესები არ მიმდინარეობს. მიმდებარე ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დაფარულია მცენარეულობით და ფერდობები სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებენ. უშუალოდ გდგ-ს არეალში მცენარეული საფარი ფრაგმენტულად და მინიმალური სახით არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია ანთროპოგენური ზემოქმედებით. არ ფიქსირდება წითელი ნუსხის არცერთი სახეობა. გდგ-ს არეალი სრულად არის გარშემორტყმული

დაცული ტერიტორიით (თბილისის ეროვნული პარკი), რომელიც მდიდარია ფაუნის წარმომადგენლებით, მათ შორისაა ისეთი იშვიათი სახეობები, როგორებიცაა კავკასიური კეთილშობილი ირემი, მურა დათვი და ფოცხვერი.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გეგმარებით ტერიტორიაზე არ მდებარეობს ვიზუალური არქეოლოგიური ობიექტები ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. შესაბამისად, ანგარიშში მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ მოცემულია ზოგადი ინფორმაცია. საპროექტო არეალიდან უახლოესი (დაახლოებით 823 მეტრი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია მამკოდას მამათა მონასტრის კომპლექსი.

სგშ-ის ანგარიშში მითითებულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების სახეები: ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები; ხმაური და ვიბრაციის გავრცელება; ჩამდინარე წყლებით დაბინძურება; ნარჩენებით გარემოს დაბინძურება; ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის და სტრატეგიული დოკუმენტის მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების და ხმაურის გავრცელება ძირითადად მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში, მტვრის ნაწილაკებისა და წვის პროდუქტების გავრცელებით. დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა, ტრანსპორტის გადაადგილება, სამშენებლო მასალების დატვირთვა/გადმოტვირთვა, მიწის სამუშაოები, მოწყობის/მონტაჟის სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას ასევე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების, სამშენებლო და შესაძლოა, მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება, შემდგომი მართვის მიზნით, მოხდება სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერებში. სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში ის შეგროვდება სხვა ნარჩენებისგან განცალკევებულად და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე პირს/კომპანიას.

სტრატეგიული დოკუმენტის ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო (მუნიციპალური) ნარჩენების წარმოქმნა, რისთვისაც დაგეგმილია შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერების განთავსება. ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, წარმოქმნილი ნარჩენების „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მართვისას და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. ასევე, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ზედაპირული და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებზე ზემოქმედებას არ მოახდენს.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, ასევე დაგეგმილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. დასაწყობებული ნიადაგის გამოყენება მოხდება გეგმარებით ობიექტის სარეკულტივაციო სამუშაოებში (გამწვანების სამუშაოები).

გდგ-ს არეალში ჩატარებული დენდროლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წითელი ნუსხის არცერთი სახეობა. სამუშაოების განხორციელების პროცესში ხე-ტყის ჭრა დაგეგმილი არ არის, მოხდება მხოლოდ ტერიტორიის ბუჩქნარისგან გასუფთავება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას. ექსპლუატაციის პროცესში სატრანსპორტო მოძრაობის შესაბამისად გაიზრდება ცხოველების სატრანსპორტო საშუალებებთან შეჯახების და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკები. ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით განხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიასა და მოსახლეობას შორის არსებული მანძილისა და რელიეფური ბარიერების გათვალისწინებით, განაშენიანებას ადგილობრივ მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ვიზუალური ეფექტი არ ექნება.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, უშუალოდ საკვლევ ტერიტორიაზე აქტიური და საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება. საყურადღებოა გდგ-ს არეალის აღმოსავლეთით მოსაზღვრე მცირე ხევი, რომელიც ძირითადად მშრალია და ინტენსიური ნალექის შემთხვევაში შესაძლებელია მცირე მასშტაბის ღვარცოფული პროცესების განვითარება.

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და შემცირების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები.

სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა 2025 წლის 8 მაისს, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სტრატეგიული დოკუმენტისა და სგშ-ს ანგარიშის ავტორი კომპანიების თანამშრომლები. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი მამკოდას მიმდებარედ, სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის განაშენიანების დეტალური გეგმის სგშ-ის ანგარიში, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით ასევე გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, საქართველოს კულტურის სამინისტროს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მათგან მიღებული პოზიციების შეჯამების შედეგად, შესაბამისი ინფორმაცია მხედველობაში იქნა მიღებული. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან შენიშვნები არ წარმოდგენილა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა. მათი დასკვნებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 27-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს რეკომენდაცია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი მამკოდას მიმდებარედ, სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის განაშენიანების დეტალურ გეგმასა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე;

2. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები::
   - გათვალისწინებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და სტანდარტები, მათ შორის, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონები. ასევე, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს აღნიშნული კოდექსის პროცედურები. ასევე, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თბილისის ეროვნულ პარკში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენის (მ.შ. ინვაზიური ან/და უცხო სახეობების გავრცელების) რისკები;
   - გამწვანების მოწყობის დროს გამოყენებული იქნეს ისეთი მცენარეების სახეობები, რომ არ იყოს მათი დაცულ ტერიტორიაზე გავრცელების რისკი;
   - სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს ყველა კომპონენტზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, განხორციელდეს მონიტორინგის გეგმის შემუშავება და მონიტორინგს დაექვემდებაროს ყველა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება.
   - სგშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს გდგ-ს არეალის ფართობი. ასევე, დაზუსტდეს ფუნქციურ ზონირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილი იქნეს მისი გდგ-ს დოკუმენტთან შესაბამისობა;
   - სგშ-ის ანგარიში გადასახედია რედაქციული და ტექნიკური თვალსაზრისით (მაგ: სგშ-ის ანგარიშიდან ამოსაღებია მითითება ქ.ხაშურზე, გასასწორებელია ნუმერაცია, მითითებები და ა.შ.). ასევე, სგშ-ის ანგარიშის ტექსტში არის ერთიდაიგივე საკითხების დუბლირება სხვადასხვა ადგილზე, რაც მიზანშეწონილია დაზუსტდეს.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანება 5 დღის ვადაში განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/288-21-4-202506091742

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE